პროექტი

# ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

2024 წლის ---- იანვარი
ქალაქი ბათუმი

## განკარგულება N

**ქალაქ ბათუმში, იმედაშვილის ქუჩა N22-ში მდებარე
სახლზე ლუგლას ზამთარაძის მემორიალური დაფის
განთავსების თაობაზე**

„კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულოს 2007 წლის 26 აპრილის №5-7 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლის, პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა**:

1. ლუგლას ზამთარაძის ხსოვნის უკვდავსაყოფად ქალაქ ბათუმში, იმედაშვილის ქუჩა N22-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე განთავსდეს მემორიალური დაფა.
2. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ განკარგულების შესრულების მიზნით განახორციელოს შესაბამისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებები.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე**
**რამაზ ჯინჭარაძე**

# განმარტებითი ბარათი

## პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმში იმედაშვილის ქუჩა N22-ში მდებარე სახლზე დუგლას ზამთარაძის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე" ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

## ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

**ა.ა) პროექტის ძირითადი არსი:**

დუგლას ზამთარაძე იყო საქართველოს არქიტექტორთა კავშირისა და საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი, ქვეყნის დამსახურებული არქიტექტორი. მიღებული ჰქონდა უმაღლესი ჯილდო – საქართველოს არქიტექტურის რაინდი. იგი ასევე გახლდათ ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი.

დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტი 1963 წელს.

1963 წლიდან მუშაობდა, თანაავტორებთან ერთად, სასოფლო სამეურნეო ცენტრების გეგმარებაზე, ასევე საცხოვრებელი, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სასოფლო დანიშნულების შენობა-ნაგებობების გეგმარებაზე. მათ შორის აღსანიშნავია ქ. ბათუმის დელფინარიუმი (1965), სამხატვრო ტექნიკუმი (1967). 1964 წლიდან მუშაობა დაიწყო საპროექტო ინსტიტუტ "თბილქალაქპროექტში", ქ. ბათუმში სხვადასხვა საპროექტო ორგანიზაციებში; 1989-1992წწ. იყო სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტ "საქსოფლმშენსახპროექტის" მთავარი ინჟინერი; 1992-1998წწ. ამავე ორგანიზაციის დირექტორი; 1998 წლიდან შპს "გონის" და შპს "დ. ინტერპროექტის" დირექტორი.

**ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:**

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს ქ. ბათუმში,იმედაშვილის ქ. N53-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე განთავსდეს დუგლას ზამთარაძის მემორიალური დაფა.

## ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

**ბ.ა)პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

**ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:**

გავლენას ახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

**ბ.გ) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:**

წარმოდგენილ პროექტს კონკრეტული ფინანსური შედეგი გააჩნია.

## გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულაქტებთან

**პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:**

პროექტი მთლიანად შეესაბამება უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებს.

**დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები**

**სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**

პროექტის შემუშავებაში ზემოაღნიშნული სუბიექტები არ მონაწილეობდნენ.

**ე) პროექტის ავტორი:**

საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისია.

**ვ) პროექტის ინიციატორი:**

აჭარის მამულიშვილთა საგვარეულო კავშირი.

**ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:**

**საკრებულოს განათლების, კულტურის,**
**ტურიზმისა და სპორტის საკითხთა**
**კომისიის თავმჯდომარე ლევან**
**ცხოიძე**